



საქართველო

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობა

№ 2043

08 აგვისტო 2016 წელი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის
კეთილმოწყობის სამსახურის უფროსს
ბატონ დავით გიგაურს

ბატონო დავით,

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 20 ივნისის №562 ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელიც ითვალისწინებს დ.სტეფანწმინდაში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებისას მრავალწლოვანი ხეების მოჭრას.

კომისიის მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნული საკითხი და შედგა შესაბამისი აქტი

გთხოვთ მიიღოთ ზომები და და მოახდინოთ რეაგირება.

დანართი 2 ფურცელი.

პატივისცემით,

მანუჩარ დვალიშვილი

მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე

ბ-6

დავით მჭედოს

მ. ჯიქია

03.08.2016

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებელს

ბატონ გივი ქირიკაშვილს

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის #562 ბრძანებით 2016 წლის 20 ივნისს დ.სტეფანწმინდაში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებისას მრავალწლოვანი ხეების მოჭრის მიზნით შექმნილი კომისიის მიერ ადგილზე მისვლით დათვალიერებულ იქნა მრავალწლოვანი ხეები, სადაც ორი ხე გამხმარია და მოსაჭრელი, ხოლო ერთი ხე უშლის სამუშაოების შესრულებას, კერძოდ ბორდიურის და ტროტუარის მოწყობას, რის გამოც უნდა მოხდეს მისი მოჭრა და ახალი ნერგით ჩანაცვლება.

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს, რომ მოხდეს ხეების მოჭრა აღნიშნულ ქუჩაზე.

დანართი: 1 ფურცელი

გამგეობის სოფლის მეურნეობის,

ქონების მართვის, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურის

განვითარების სამსახურის უფროსი:

გ. ჯიქია

ზ. ზილინაშვილი





ს ა ს მ ა რ დ ე ბ ლ ი
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობა
შემოსული კონსტრუქციისა და რეაბილიტაციის
№ 840 - 29 - 07 - 2016

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის #562 ბრძანებით 2016 წლის 20 ივნისს დ.სტეფანწმინდაში ვაჟა - ფშაველას ქუჩაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებისას მრავალწლოვანი ხეების მოჭრის მიზნით შექმნილმა კომისიამ შემდეგი შემადგენლობით:

- 1.ზურაბ ზილინაშვილი -გამგეობის სოფლის მეურნეობის,ქონების მართვის,ეკონომიკური და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი-კომისიის თავმჯდომარე
- 2.ბაჩანა ფიცხელაური -გამგეობის სოფლის მეურნეობის,ქონების მართვის,ეკონომიკური და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი.
- 3.თემურ ქირიკაშვილი-ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის“ უფროსის მოადგილე-კომისიის წევრი
- 4.ავთანდილ ფიცხელაური -გამგებლის წარმომადგენელი დაბა სტეფანწმინდის ადმინისტრაციულ ერთეულში.

ადგილზე მისვლით დავათვალიერეთ აღნიშნულ ქუჩაზე მრავალწლოვანი ხეები,ორი გამხმარი ხე მოსაჭრელია, ხოლო ერთი ხე უშლის სამუშაოების შესრულებას, კერძოდ ბორდიურის და ტროტუარის მოწყობას,ამიტომ უნდა მოხდეს მისი მოჭრა და ახალი ნერგით ჩანაცვლება.

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

- 1.ზურაბ ზილინაშვილი 
- 2.ბაჩანა ფიცხელაური 
- 3.ზურაბ ხუციშვილი 
- 4.თემურ ქირიკაშვილი 
- 5.ავთანდილ ფიცხელაური 